რუსთავის აზოტი Rustavi AZOT

სს "რუსთავის აზოტი" JSC "RUSTAVI AZOT"

№ 01/34 20 01 2020წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს ,,რუსთავის აზოტი''-ს ქიმიურ საწარმოში პროდუქციაზე მოთხოვნილების გაზრდის და ასევე კლების შესაბამისად, განხორციელდა ზოგიერთი საამქროს წარმადობის გაზრდა და ზოგიერთი პროდუქციის წარმოების შეჩერება. ასევე, შეიქმნა დამხმარე ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, საწარმო, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, გეგმავს ახალი საქმიანობის, კერძოდ, სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის და განთავსების უბნების, ასევე, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობას.

ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების ნაწილი განეკუთვნება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართის საქმიანობებს (სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია და განთავსება) და ნაწილი II დანართის (ნარჩენების 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა; სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება, არსებული არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი; ნარჩენების აღდგენის საამქრო (პოლიეთილენის და პოლიპროპილენის გადამამუშავებელი საამქრო) საქმიანობებს, ხოლო არსებული ქიმიური საამქროების წარმადობის გაზრდა, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებად განიხილება.

საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-5 მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია წარუდგინოს სამინისტროს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამ კოდექსის შესაბამისად.

საქართველო, რუსთავი 3700, მშვიდობის ქ№2
2, Mshvidoba str. Rustavi 3700, Georgia
ტელ/Tel: (+995 341) 27 09 22
ელ. ფოსტა/E-mail: info@rustaviazot.ge
www.rustaviazot.ge

აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „რუსთავის აზოტის" მიმდინარე საქმიანობის (ქიმიური მრეწველობა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან, სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის და განთავსების უბნების, ასევე ახალი, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის, სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობასთან და საწარმოში მიმდინარე დამხმარე საქმიანობებთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ სკოპინგის ანგარიშს.

დანართი: 1. სკოპინგის ანგარიში (ნაბეჭდი ვერსია) - 1 ეგზ.
2. საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინტები shp ფაილების სახით და სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია - 1 CD.
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

პატივისცემით,
დირექტორი ე. ჟრუმაშვილი

JSC RUSTAVI AZOT 204519794 GEORGIA. JSC "RUSTAVI AZOT"